დიპლომის დანართის შემუშავებისა და შევსების ინსტრუქცია

დიპლომის დანართის ეს მოდელი დამუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ. დანართის მიზანია მიაწოდოს დასაბუთებული მიუკერძოებელი მონაცემები საერთაშორისო ,,გამჭვირვალობის" გასაუმჯობესებლად და კვალიფიკაციების (დიპლომების, ხარისხების, სერტიფიკატების და ა.შ) აკადემიური და პროფესიული ცნობის დასაზუსტებლად. მისი მიზანია, აღწეროს დასახელებული პირის მიერ ამ დანართის შესაბამის ორიგინალურ კვალიფიკაციაში გავლილი და წარმატებით დასრულებული სასწავლო პროგრამის ხასიათი, დონე, კონტექსტი, შინაარსი და სტატუსი. აღწერა თავისუფალი უნდა იყოს რაიმე შეფასებითი დასკვნებისაგან, ეკვივალენტობის მტკიცებისა ან აღიარების შესახებ შეთავაზებისაგან. ინფორმაცია უნდა შეივსოს რვავე პარაგრაფში. თუ ინფორმაცია არ არის მოცემული, საჭიროა განიმარტოს მიზეზი.

1. კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

1.1 გვარი: მიუთითეთ კურსდამთავრებულის გვარი.
დიპლომის დანართის ინგლისურ ვარიანტში გვარი მიუთითეთ კურსდამთავრებულის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით.

1.2 სახელ(ებ)ი: მიუთითეთ კურსდამთავრებულის სახელ(ებ)ი.
დიპლომის დანართის ინგლისურ ვარიანტში სახელი მიუთითეთ კურსდამთავრებულის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით.

1.3 დაბადების თარიღი: მიუთითეთ კურსდამთავრებულის დაბადების დღე, თვე, წელი (ნიმუში: 25. 01. 2009).

1.4 სტუდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (თუ არსებობს): მიუთითეთ
მოქალაქის პირადი თერთმეტნიშნა ნომერი

2. კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

2.1 კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე): მიუთითეთ: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი/ დიპლომირებული მედიკოსის

აკადემიური ხარისხი/ დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი/ მაგისტრის აკადემიური ხარისხი/ დოქტორის აკადემიური ხარისხი.

აღნიშნული პუნქტის შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ ბაკალავრის/ დიპლომირებული მედიკოსის /დიპლომირებული სტომატოლოგის/ მაგისტრის/ დოქტორის აკადემიური ხარისხი უნდა მიეთითოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.
აღნიშნული პუნქტის შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით არსებობს კვალიფიკაციის ფორმირების სხვადასხვა ალტერნატივა. დიპლომის დანართის შევსებისას ხდება იმ ფორმულირების ჩაწერა, რომელიც მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამაში.

იხილეთ 2.1 პუნქტის შევსების მაგალითები :

კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ან ისტორიის ბაკალავრი ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში;
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ან ისტორიის მაგისტრი ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ისტორიაში ან საქართველოს ისტორიის მაგისტრი;
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი ან ისტორიის დოქტორი ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი ისტორიაში.

კვალიფიკაცია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ან ფიზიკის ბაკალავრი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში;
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი ან ფიზიკის მაგისტრი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი ფიზიკაში ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი თეორიულ ფიზიკაში ან თეორიული ფიზიკის მაგისტრი ან ფიზიკის მაგისტრი (თეორიული ფიზიკა).
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი ან ფიზიკის დოქტორი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი ფიზიკაში.

კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებების ბაკალავრი ან სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ჟურნალისტიკაში ან ჟურნალისტიკის ბაკალავრი;
სოციალური მეცნიერებების მაგისტრი ან ჟურნალისტიკის მაგისტრი ან სოციალური მეცნიერებების მაგისტრი ჟურნალისტიკაში ან სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მედიის კვლევებში;
სოციალური მეცნიერებების დოქტორი ან სოციალური მეცნიერებების დოქტორი ჟურნალისტიკაში ან ჟურნალისტიკის დოქტორი.

კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ან ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში ან მარკეტინგის ბაკალავრი;
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ან მარკეტინგის მაგისტრი ან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში ან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო მარკეტინგში.
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი ან ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი მარკეტინგში ან მარკეტინგის დოქტორი.

კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი ან სამართლის ბაკალავრი საერთაშორისო სამართალში ან საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი;
სამართლის მაგისტრი ან სამართლის მაგისტრი საერთაშორისო სამართალში ან საერთაშორისო სამართლის მაგისტრი ან სამართლის მაგისტრი საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში;
სამართლის დოქტორი ან სამართლის დოქტორი საერთაშორისო სამართალში ან საერთაშორისო სამართლის დოქტორი.

კვალიფიკაცია: ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი;
დიპლომირებული მედიკოსი, დიპლომირებული სტომატოლოგი;
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი;
მედიცინის დოქტორი;

შენიშვნა: თუ თსუ–ს ამა თუ იმ საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული იღებს ორმაგ კვალიფიკაციას, ანუ ორმაგ აკადემიურ ხარისხს (ე. წ. double degree), ეს ინფორმაცია უნდა მიეთითოს აღნიშნულ პუნქტში. მაგალითად, თსუ ზუსტ და საბუნებიმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ ქართულ–ფრანგული საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს დიპლომის დანართში (2.1 პუნქტი) უნდა მიეთითოთ, რომ იღებენ როგორც სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე ვერსალ სენ–კანტენის ბაკალავრის ხარისხს.

2.2 კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი: მიუთითეთ შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის, დიპლომირებული მედიკოსის/ დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის, სამაგისტრო პროგრამის ან მისი სასპეციალიზაციო მოდულის, სადოქტორო პროგრამის ან მისი სასპეციალიზაციო მოდულის ძირითადი დარგი.

საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:
ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა.

იხილეთ 2.2. პუნქტების შევსების მაგალითები:

ძირითადი დარგი – ისტორია (ძირითადი სპეციალობა – ისტორია, დამატებითი სპეციალობა – ხელოვნებათმცოდნეობა);
ძირითადი დარგი – ფილოლოგია (ძირითადი სპეციალობა – ქართული ფილოლოგია, დამატებითი სპეციალობა – პედაგოგიკა)
ძირითადი დარგი – ფილოლოგია (ძირითადი სპეციალობა – ინგლისური ფილოლოგია)

2.3 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე): მიუთითეთ: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაარსებული 1918 წელს (www.tsu.edu.ge), აკრედიტებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ (საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის დირექტორის 2006 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №100/ა).

შენიშვნა: გერმანიის კიოლნისუნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის (L.L.M) შემთხვევაში, კვალიფიკაციის (L.L.M) მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არის კიოლნის უნივერსიტეტი (გერმანია), ხოლო სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის დაწესებულება, რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი, რაც უნდა მიეთითოს პუნქტში 2.4.

კომპიუტერული ტექნოლოგიების ქართულ–ფრანგული საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი არის როგორც სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისე ვერსალ–სენ–კანტენის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ხოლო სწავლების პროცესი თსუ–ში ხორციელდება.

2.3 პუნქტის შევსებისას კვალიფიკაციის (აკადემიური ხარისხის) მიმნიჭებელი უცხოური უნივერსიტეტების სახელწოდება უნდა მიეთითოს როგორც ქართულად, ისე ორიგინალის ენაზე (ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში გერმანულად და ფრანგულად).

2.4 იმ დაწესებულების (თუ განსხვავდება 2.3-სგან) დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე), რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი: უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც განხორციელდა სწავლება.
თსუ–ს შემთხვევაში მიუთითეთ: არ განსხვავდება 2.3–სგან.

2.5 სწავლების/გამოცდის ენა (ენები): მიუთითეთ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების და გამოცდის ენა (ენები): ქართული / ინგლისური / გერმანული / ფრანგული / რუსული და სხვ.

3. ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ

3.1 კვალიფიკაციის დონე: მიუთითეთ: ბაკალავრიატი –
უმაღლესი განათლების I საფეხური მაგისტრატურა –
უმაღლესი განათლების II საფეხური დოქტორანტურა –
უმაღლესი განათლების III საფეხური

დიპლომის დანართის 3.1 პუნქტის შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე არანაკლებ 5-წლიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებზე პროგრამის დასრულების შედეგად გაიცემა დიპლომირებული

მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან.

3.2 პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა: მიუთითეთ კონკრეტული სასწავლო პროგრამის შესაბამისად:
ბაკალავრიატი: 8 სემესტრი (240 ECTS კრედიტი) დიპლომირებული
მედიკოსი: 12 სემესტრი (360 ECTS კრედიტი) დიპლომირებული
სტომატოლოგი: 10 სემესტრი (300 ECTS კრედიტი) მაგისტრატურა: 4
სემესტრი (120 ECTS კრედიტი)
დოქტორანტურა: 6 სემესტრი (180 ECTS კრედიტი).

3.3 მიღების მოთხოვნები:
ბაკალავრიატში– სრული ზოგადი განათლების ატესტატი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
მაგისტრატურაში–ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი, დიპლომირებული მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის დიპლომი. დოქტორანტურაში– მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი.

4. ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

4.1 სწავლების ფორმა: მიუთითეთ: დასწრებული.

შენიშვნა: მომავალში თსუ–ს საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან და სწავლების ფორმიდან გამომდინარე, შეიძლება მიეთითოს: ელექტრონული/დისტანციური სწავლება, ე. წ. შენაცვლებითი (წყვეტილი) ანუ „სენდვიჩის“ პრინციპით სწავლება და სხვ.

4.2 პროგრამის მოთხოვნები: წარმოადგინეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე აღწერილობა, სადაც მითითებული იქნება:
ა) ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის სტრუქტურის შესახებ (იძლევა თუ არა ე. წ. ძირითადი და დამატებითი სპეციალობებისა ან/და სასწავლო კომპონენტების დამატებითი კონცენტრაციების კომბინირების საშუალებას (საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში) და სხვა);
ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;
გ) საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები (სასურველია, რომ შედეგების აღწერა მოხდეს დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით);
დ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სავალდებულო და არჩევითი საგნების თანაფარდობის შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამაში საფაკულტეტო და ე. წ. თავისუფალი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობის შესახებ; ინფორმაცია საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომების, სასწავლო პრაქტიკის შესახებ, და სხვ.

4.3 პროგრამის დეტალები: (მაგ. შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/ შეფასებები/ კრედიტები: (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი) გთხოვთ, შეავსოთ შემდეგი ცხრილი:

ბაკალავრიატი

სასწავლო კურსის კოდი (არსებობის შემთხვევაში)	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS კრედიტი	შეფასება
ძ ი რ ი თ ა დ ი ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ა			
საფაკულტეტო სასწავლო კურსები			
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები			
ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები			
სხვა სასწავლო კურსები საგანმანათლებლო პროგრამებიდან (არსებობის შემთხვევაში) (იგულისხმება ე.წ. თავისუფალი კრედიტების ასაღებად გათვლილი სასწავლო კურსები)			
დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)			
დამატებითი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები			
დამატებითი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები			
სასწავლო კომპონენტების დამატებითი კონცენტრაცია (არსებობის შემთხვევაში)			
	საბაკალავრო ნაშრომი (არსებობის შემთხვევაში)		
	პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)		

დიპლომის საშუალო ქულა (GPA): ……

შენიშვნა: შეფასების გრაფაში ეთითება, როგორც ქულა, ისე მისი შესატყვისი ლათინური ასო (A-F)

მაგისტრატურა

სასწავლო კურსის კოდი (არსებობის შემთხვევაში)	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS კრედიტი	შეფასება
პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები			
მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები			
მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები			
	სამაგისტრო ნაშრომი		
	პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)		

დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:
„– – – ‘’
დიპლომის საშუალო ქულა (GPA): ……

შენიშვნა: შეფასების გრაფაში ეთითება, როგორც ქულა, ისე მისი შესატყვისი ლათინური ასო (A-F).

დიპლომირებული მედიკოსი/ დიპლომირებული სტომატოლოგი

სასწავლო კურსის კოდი (არსებობის შემთხვევაში)	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS კრედიტი	შეფასება
ძ ი რ ი თ ა დ ი ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ა			
საფაკულტეტო სასწავლო კურსები			
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები			
ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები			
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან			
პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)			

დიპლომის საშუალო ქულა (GPA): ……

შენიშვნა: შეფასების გრაფაში ეთითება, როგორც ქულა, ისე მისი შესატყვისი ლათინური ასო (A-F).

დოქტორანტურა

სასწავლო კურსის კოდი (არსებობის შემთხვევაში)	სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი კომპონენტები	ECTS კრედიტი	შეფასება
სასწავლო კომპონენტი			
სამეცნიერო–კვლევითი კომპონენტი			
	სადისერტაციო ნაშრომი		
	პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)		

დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე:
”_____”

შენიშვნა:

- შეფასების გრაფაში ეთითება, როგორც ქულა, ისე მისი შესატყვისი ლათინური ასო (A-F).
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გრაფაში მიეთითება ნაშრომის როგორც ქულა ისე მისი ლათინური შესატყვისი (summa cum laude, magna cum laude, cum laude, bene, rite, insufficienter, sub omni canone).

4.4 შეფასებების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია:

2005 წლამდე სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდებოდა შემდეგი სისტემით: „ფრიადი (5)“, „კარგი (4)“, „დამაკმაყოფილებელი (3)“, „არადამაკმაყოფილებელი (2)“, „ჩათვლა“, „არჩათვლა“.
სტუდენტის შეფასება წარმოებდა შემდეგი პრინციპით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობის %	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია
85% და მეტი	„ფრიადი“ (5)	დადებითი
71–84%	„კარგი“ (4)	დადებითი
51–70%	„დამაკმაყოფილებელი“ (3)	დადებითი
51%–ზე ნაკლები	„არადამაკმაყოფილებელი“ (2)	უარყოფითი
51% და მეტი	„ჩათვლა“	დადებითი
50% და ნაკლები	„არჩათვლა“	უარყოფითი

2005 წლიდან სტუდენტის ცოდნის შეფასება შემდეგი სისტემის მიხედვით განისაზღვრება: „ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „საშუალო“, „დამაკმაყოფილებელი“, „არადამაკმაყოფილებელი “, „სრულიად არადამაკმაყოფილებელი “
სტუდენტის შეფასება წარმოებს შემდეგი პრინციპით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია	შეფასების GPA
91 – 100%	„ფრიადი“	დადებითი	4.0
81 – 90%	„ძალიან კარგი“	დადებითი	3.0
71 – 80%	„კარგი“	დადებითი	2.0
61 – 70%	„საშუალო“	დადებითი	1.0
51 – 60%	„დამაკმაყოფილებელი“	დადებითი	0.5
41 – 50%	„არადამაკმაყოფილებელი“	უარყოფითი	0
40% და ნაკლები	„სრულიად არადამაკმაყოფილებელი“	უარყოფითი	0

2009 წლიდან სტუდენტის ცოდნის შეფასება შემდეგი სისტემის მიხედვით განისაზღვრება: „ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, „საკმარისი“, „ვერ ჩააბარა “, „ჩაიჭრა“. სტუდენტის შეფასება წარმოებს შემდეგი პრინციპით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია	შეფასების GPA
91% და მეტი	(A) „ფრიადი“	დადებითი	4.0
81 – 90%	(B) „ძალიან კარგი“	დადებითი	3.0
71 – 80%	(C) „კარგი“	დადებითი	2.0
61 – 70%	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი	1.0
51 – 60%	(E) „საკმარისი“	დადებითი	0.5
41 – 50%	(FX) „ვერ ჩააბარა“	უარყოფითი	0.0

40% და ნაკლები	(F) „ჩაიჭრა“	უარყოფითი	0.0

2007 წლიდან სადისერტაციო ნაშრომის შეფასება განისაზღვრებოდა შემდეგი სისტემით:
ა) (P) - დაიცვა
ბ) (F) – ვერ დაიცვა

2009 წლიდან სადისერტაციო ნაშრომის შეფასება განისაზღვრება შემდეგი სისტემის მიხედვით: „ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „საშუალო“, „დამაკმაყოფილებელი“, „არადამაკმაყოფილებელი“, „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“

შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია
ფრიადი (summa cum laude)	შესანიშნავი ნაშრომი
ძალიან კარგი (magna cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება
კარგი (cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება
საშუალო (bene)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს
დამაკმაყოფილებელი (rite)	შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს
არადამაკმაყოფილებელი (insufficienter)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება განისაზღვრება სტუდენტის მიერ სწავლების შესაბამის ფორმებზე (ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული ან ლაბორატორიული მეცადინეობა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამით.

შენიშვნა: მიუთითეთ შეფასების ის სისტემა (სისტემები), რომლებიც მოქმედებდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი კურსდამთავრებულის სწავლის პერიოდში.

4.5 კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია (ორიგინალის ენაზე):
თუ კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ქულა (GPA) არის არანაკლებ 3.5, მაშინ მას ეძლევა დიპლომი წარჩინებით, სხვა შემთხვევაში – ჩვეულებრივი დიპლომი.

5. ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ

5.1 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე :
ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე –მაგისტრატურაში.
მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე – დოქტორანტურაში.

5.2 პროფესიული სტატუსი (თუ ასეთი არსებობს): მიუთითეთ, დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის რა უფლება აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის მფლობელს და რომელი კომპეტენტური ორგანო აძლევს მას ამ უფლებას. მიუთითეთ, ეს კვალიფიკაცია იძლევა თუ არა დაშვებას „რეგულირებად პროფესიაში“.
შესაძლებელია ამგვარი ფორმულირება: ა)აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა და განახორციელოს პროფესიული საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ან ბ) აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უფლება იმუშაოს სწავლების ძირითადი დარგის (დარგების) შესაბამისად.

6. დამატებითი ინფორმაცია

6.1 დამატებითი ინფორმაცია: აღნიშნულ პუნქტში შესაძლებელია მოყვანილ იქნას კურსდამთავრებულის შესახებ შემდეგი დამატებითი ინფორმაცია: ჩარიცხვისა და დამთავრების ბრძანებების ნომერი და თარიღი (სხვა ბრძანებები–არსებობის შემთხვევაში). შესაძლებელია მიეთითოს სტუდენტის მონაწილეობა საერთაშორისო, საუნივერსიტეტო ან/და სამეცნიერო კონფერენციებში, ინფორმაცია სტიპენდიის, პრაქტიკისა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

6.2 დამატებითი ინფორმაციის წყაროები: შესაძლებელია მიუთითოთ სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (www.tsu.edu.ge) და შესაბამისი ფაკულტეტის (ნიმუში: www.law.tsu.ge) ვებგვერდის მისამართები.

7. დანართის დამოწმება

7.1 თარიღი: მიუთითეთ დიპლომის დანართის გაცემის თარიღი

7.2 ხელმოწერა:

7.3 თანამდებობა: (31.10.2016, №122/2016)
დიპლომის დანართს ხელმოწერით ადასტურებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/დეკანის მოვალეობის შემსრულებელი (დეკანის არყოფნის შემთხვევაში).

7.4 ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი: დიპლომის დანართზე უნდა დაისვას უნივერსიტეტის ბეჭედი.

8. ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ - 2010

8.1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაშვებისა და მიღების წესები:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების (2009 წლიდან - 12 წელი) მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები, დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამაზე (ქვესაფეხური პირველი საფეხურის ფარგლებში) - მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტი.
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა

საერთო სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

8.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

2009 წლიდან საქართველოში არსებობს შემდეგი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ბაკალავრიატის ფარგლებში არსებული დიპლომირებული სპეციალისტი პროგრამას ან/და მხოლოდ პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას;

სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებს. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

8.3. კვალიფიკაციების სტრუქტურა

2005 წლიდან საქართველოში შემოღებულ იქნა სამსაფეხურიანი სისტემა. ამ სისტემაზე სრული გადასვლა განხორციელდა 2009-2010 სასწავლო წლიდან (მედიცინის, სტომატოლოგიის და ვეტერინარიის გარდა). უმაღლესი განათლების საფეხურებია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. უმაღლესი განათლების საფეხურის დასამთავრებლად აუცილებელია შესაბამისი რაოდენობის კრედიტების დაგროვება.

პირველი საფეხური: ბაკალავრიატი - 240 კრედიტი

- 2007 წლიდან პირველის საფეხურის ფარგლებში არსებობს დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა 120-180 კრედიტით. დიპლომირებული სპეციალისტი

უფლებამოსილია, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე, სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაძლებელია დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამაზე დაგროვილი კრედიტების აღიარება.
მეორე საფეხური: მაგისტრატურა - 120 კრედიტი
მესამე საფეხური: დოქტორანტურა - 180 კრედიტი
სამედიცინო (დიპლომირებული მედიკოსი -360 კრედიტი), სტომატოლოგიური (დიპლომირებული სტომატოლოგი -300 კრედიტი) და ვეტერინარული (დიპლომირებული ვეტერინარი - 300 კრედიტი) განათლება არის ერთსაფეხურიანი ინტეგრირებული განათლება და თავისი სწავლის შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს

8.4. ხარისხის უზრუნველყოფა
ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით. გარე ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის მეშვეობით (www.eqe.ge)

8.5. შეფასების სისტემა
2005 წლიდან ეროვნულ დონეზე არსებობს შეფასების 100 ქულიანი სისტემა.

8.6. ინფორმაციის ეროვნული წყარო
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მისამართი: დ. უზნაძის ქ. №52, თბილისი, 0102
ვებგვერდი: www.mes.gov.ge
ელფოსტა: pr@mes.gov.ge
ტელეფონი:(+995 32) 231 89 40

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: მ. ალექსიძის ქ.№1, თბილისი, 0193
ვებგვერდი: www.eqe.ge
ელფოსტა: info@eqe.ge
ტელეფონი:(+995 32) 236 57 92

უმაღლესი განათლების სისტემა



შენიშვნა:

- დიპლომის დანართის შემუშავებასა და შევსებაში მონაწილეობენ: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი(კოორდინატორი), ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტისხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი მიმართულების წევრი (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტები, ფაკულტეტის კანცელარიის თანამშრომლები.

- დიპლომის დანართის ის მუხლები, რომლებიც გვაწვდის ინფორმაციას კურსდამთავრებულის კვალიფიკაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, შემუშავდება პროგრამის ხელმძღვანელისა (კოორდინატორი) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და ივსება ინდივიდუალურად თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- დიპლომის დანართის ის მუხლები, რომლებიც გვაწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისა და საქართველოს განათლების სისტემის შესახებ, ივსება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

- დიპლომის დანართის ინგლისური ვერსიის მომზადებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური შესაბამისი სასაწავლო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. დიპლომის დანართის ინგლისური ვერსიის რედაქტირებას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი.

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი სისტემატურად ამოწმებს გაცემული დიპლომის დანართების შესაბამისობას „დიპლომის დანართის შემუშავებისა და შევსების ინსტრუქციის“ მოთხოვნებთან.

- დიპლომის დანართის შევსების დროს უნდა გამოვიყენოთ შრიფტი Sylfaen.